ხელშეკრულება (პერიმეტრი) № 2912/02

CPV 79700000:

გამარტივებული შესყიდვა - ექსკლუზივი SMP160003599

1/4786 31.12.16

ქ. თბილისი „29" დეკემბერი 2016 წ.

შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა" (შემდგომში „დამკვეთად" წოდებული), დირექტორის ***ალექსი ზანდარაშვილის*** სახით, ერთი მხრივ და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი (შემდგომში „დაცვად" წოდებული), დაცვის ორგანიზაციის მთავარი სამმართველოს უფროსის ***მამუკა ლიპარტელიანის*** სახით, მეორე მხრივ, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. „დაცვა" უზრუნველყოფს „დამკვეთის" ოფისის და საწყობის დაცვას (შემდგომში „ობიექტად" წოდებული), რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვანის ქ. №6.

1.2. „დამკვეთი" იღებს ვალდებულებას „დაცვას" გადაუხადოს დაცვის მომსახურების ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების მე–2 მუხლის მოთხოვნათა მიხედვით;

1.3. „ობიექტის" დაცვა განხორციელდება „დამკვეთის" მიერ „ობიექტის" დაცვის ცენტრალიზებულ პუნქტზე ჩაბარებისა და „დაცვის" მიერ ობიექტის დაცვაში აყვანის შემდეგ;

1.4. „ობიექტის" დაცვას განახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი.

მუხლი 2. ანგარიშსწორების პირობები

2.1 დაცვის მომსახურეობის ღირებულება ერთ თვეში შეადგენს 200,00 (ორასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით;

2.2 ანგარიშსწორება მხარეთა შორის განხორციელდეს საგადასახადო დოკუმენტაციის გამოწერიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში;

2.3 „დაცვის" მომსახურების საგადასახადო დოკუმენტაციის გამოწერას უზრუნველყოფს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ქ.თბილისის სამმართველო.

2.4 **ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარს.**

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1 „დაცვა" ვალდებულია:

3.1.1 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, უზრუნველყოს მის საკუთრებაში არსებული: რადიო გადამცემის, რადიო მიმღებ-გადამცემი მოწყობილობის, რადიო გადამცემის ყუთის, რადიო გადამცემის პლატის მონტაჟი-ინსტალაცია „დამკვეთის" ობიექტზე;

3.1.2 ცენტრალიზებული დაცვის პულტზე განგაშის მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) წუთისა მოახდინოს „ობიექტზე" გამოცხადება და ადგილზე მისვლის შემდეგ, „ობიექტზე" მომხდარი სამართალდარღვევის ფაქტის შესახებ, დაუყოვნებლივ აცნობოს "დამკვეთს" და უზრუნველყოს შსს შესაბამისი ორგანოების გამოძახება, ხოლო მათ მოსვლამდე დაიცვას შემთხვევის ადგილის ხელშეუხებლობა;

3.1.3 „დამკვეთს" ფაქტიური ზარალი აუნაზღაუროს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე;

3.1.4 სიგნალ „განგაშის" მიღებისას, ობიექტის გასახსნელად, სიგნალის ამუშავების მიზეზის დასადგენად, აგრეთვე ობიექტის ხელმეორედ დაცვაზე ასაყვანად, გამოიძახოს „დამკვეთი" ან „ობიექტის" მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირი;

3.1.5 არ მიიღოს „ობიექტი" დაცვაში, თუ შეიქმნა პირობები, რომელთა გამოც, „დაცვისგან" დამოუკიდებელი მიზეზებით, არ ხერხდება დაცვაში აყვანა, რაზედაც „დამკვეთს" ეცნობება წინასწარ;

3.1.6 იკისროს პასუხისმგებლობა მხოლოდ იმ ზარალისათვის, რომელიც გამოიწვია „დაცვის" ვალდებულებების არაჯეროვანმა შესრულებამ და არა „დამკვეთის" დაუდევრობამ.

3.2 „დამკვეთი" ვალდებულია:

3.2.1 „ობიექტის" დაცვაზე მიღება-ჩაბარებისათვის ოფიციალურად გამოყოს არანაკლებ 3 (სამი) პასუხისმგებელი (ნდობით აღჭურვილი) პირი და გადასცეს მას სიგნალიზაციით სარგებლობის ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულების უფლება;

3.2.2 განგაშის შემთხვევაში „დაცვას" მისცეს დასაცავი „ობიექტის" გახსნისა და დათვალიერების საშუალება;

3.2.3 უცხო პირებს არ გაანდოს დაცვის ტექნიკური საშუალებების გამოყენების წესები, ობიექტზე მინიჭებული პირობითი ნომერი;

3.2.4 სიგნალიზაციის გაუმართაობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ „დაცვას", დაელოდოს „დაცვის" წარმომადგენლის გამოცხადებას და ნაკლოვანებების აღმოფხვრას;

3.2.5 ელექტროენერგიის ავარიული გამორთვის შემთხვევაში იქონიოს გამართულ მდგომარეობაში დასამუხტი და სარეზერვო მკვებავი საშუალებები;

3.2.6 წინამდებარე ხელშეკრულების 3.1.1 პუნქტში მითითებული მოწყობილობების (რომლებიც წარმოადგენს ,,დაცვის'' საკუთრებას და დაცვის განხორციელების მიზნით გადაცემულია ,,დამკვეთისათვის'') განზრახ ან გაუფრთხილებლობით დაზიანების შემთხვევაში აანაზღაუროს მიყენებული ზარალი, განსაზღვრული დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟ-ინსტალაციის მიღება-ჩაბარების აქტის ,,ბ" პუნქტით;

3.2.7 მხოლოდ დაცვასთან შეთანხმებით გადასცეს პასუხისმგებელ (ნდობით აღჭურვილ) პირს ,,ობიექტზე'' შესვლის, სიგნალიზაციით სარგებლობისა და ხელშეკრულების 3.2.2, 3.2.3, 3.2.4 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უფლება;

3.2.8 უზრუნველყოს მოკვლევის აქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება;

3.2.9 არ დაუშვას "შემსრულებლის" მიერ დამონტაჟებული აპარატურის გადაკეთება ან შეკეთება ,,დაცვის'' წარმომადგენლის გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში დაცვა არ აგებს პასუხს დამკვეთის თვითნებური მოქმედებით გამოწვეულ გაუმართაობაზე (შეფერხებაზე) და დამკვეთისათვის მიყენებულ ზიანზე;

3.2.10 რეკვიზიტების (მისამართი, საკონტაქტო ტელეფონები) შეცვლის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს ,,დაცვას";

3.2.11 სიგნალ ,,განგაშის" ან ტექნიკური ხარვეზის მიზეზების დადგენისა და ,,ობიექტის'' გახსნის მიზნით, თვითონ ან მისი უფლებამოსილი პირი გამოცხადდეს ,,ობიექტზე'', ,,დაცვის'' უფლებამოსილი დანაყოფისგან ან პირისგან შეტყობინების მიღებიდან გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 24 საათისა. ,,დამკვეთის'' მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ,,დაცვა'' იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას.

მუხლი 4. ფორს-მაჟორი

4.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისგან ფორს-მაჟორული შემთხვევების დროს, რომლის დროსაც შეუძლებელია დაკისრებული მოვალეობათა შესრულება და რაც დადასტურებულია სათანადო ორგანოების მიერ.

მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

5.2 აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებას „შემსრულებელი" ახორციელებს ხელშეკრულების გაფორმების დღიდან **2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

მუხლი 6. ხელშეკრულების სხვა პირობები

6.1 წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს მხარეთა შორის გაფორმებული ,,ობიექტის" მოკვლევის აქტი და დაცვით-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟ-ინსტალაციის სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი;

6.2 ,,დაცვა" მატერიალურ პასუხისმგებლობას იხსნის, თუ ,,დამკვეთი" არ განახორციელებს მოკვლევის აქტში ,,დაცვის" მიერ მითითებული რეკომენდაციების შესრულებას;

6.3 ,,დაცვა'' უფლებამოსილია ზარალის ოდენობის განსაზღვრის მიზნით მონაწილეობა მიიღოს შედარების აქტის შედგენაში, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს "დამკვეთის" საბუღალტრო დოკუმენტაციას და ადასტურებდეს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის შესაბამისი დანაყოფის ხელმძღვანელობის ხელისმოწერა;

6.4 ,,დამკვეთი'' ვალდებულია, ზიანის დადასტურების შემთხვევაში, ხელშეკრულების 3.2.6 ქვეპუნქტში მითითებული თანხის გადახდა უზრუნველყოს 5 სამუშაო დღის განმავლობაში;

6.5 ,,დაცვა" უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

6.6 ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტისას, მხარეები ხუთი დღით ადრე წერილობით აცნობებენ ერთმანეთს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;

6.7 ,,დამკვეთის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ერთი თვის სახელშეკრულებო თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, ,,დაცვა" უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

6.8 ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ,,დაცვა" უფლებამოსილია მოსთხოვოს ,,დამკვეთს" პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, შეუსრულებელი ვალდებულების 0,2%-ის ოდენობით;

6.9 ხელშეკრულების 6.8 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობის შეუსრულებელი ვალდებულების 5%-ის მიღწევის შემთხვევაში, ,,დაცვა" უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება დაუყოვნებლივ;

6.10 ,,დაცვა" უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება დაცვის მომსახურების ტარიფის ცვლილებების შესახებ, რომელიც წერილობით ეცნობება ,,დამკვეთს" ერთი თვით ადრე;

6.11 ,,დაცვა" ობიექტის დაცვის მომსახურეობის შეწყვეტიდან არაუმეტეს 7 სამუშაო დღის განმავლობაში განახორციელებს 3.1.1 ქვეპუნქტში მითითებული მოწყობილობების (რომლებიც წარმოადგენს ,,დაცვის'' საკუთრებას და დაცვის განხორციელების მიზნით გადაცემულია ,,დამკვეთისათვის'') შემოწმებას და დემონტაჟს;

6.12 ,,დამკვეთის'' მოთხოვნის შემთხვევაში, დაცვა ვალდებულია გასცეს დამკვეთზე დამატებითი ერთჯერადი ოთხნიშნა კოდი (შემდგომში - კოდი);

6.13 დამკვეთის მიერ კოდი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ობიექტზე მართლსაწინააღმდეგო შეღწევა ან შეღწევის მცდელობა ხორციელდება დამკვეთზე ან მის უფლებამოსილ პირზე მათი სიცოცხლის და/ან ჯანმრთელობისათვის საშიში რეალური მუქარის საფუძველზე;

6.14 კოდის გამოყენების შემთხვევაში, იგი უქმდება და მოთხოვნის შემთხვევაში გაიცემა ახალი კოდი;

6.15 კოდის გაცემის ღირებულებაა 15 (თხუთმეტი) ლარი დღგ-ს ჩათვლით, რომელსაც დამკვეთი იხდის სააბონენტო გადასახადთან ერთად, ოთხნიშნა კოდის გადაცემისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

6.16 საჭიროების შემთხვევაში ,,დამკვეთი'' უფლებამოსილია ობიექტის გახსნის მიზნით, ობიექტის გასაღების დუბლიკატი შესაბამის კოდთან ერთად, მიღება-ჩაბარების აქტით გადასცეს ,,დაცვას";

6.17 მხარეები თანხმდებიან, რომ ,,დაცვის'' მიერ გასაღები გამოყენებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სიგნალ ,,განგაშის'' შემოსვლისას ვერ ხერხდება ,,დამკვეთთან'' ან მისი ნდობით აღჭურვილ პირთან დაკავშირება;

6.18 ,,დამკვეთი'' აცხადებს წინასწარ თანხმობას, რომ წინამდებარე ხელშეკრულების 6.16 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში გასაღების გამოყენება ჩაითვლება მართლზომიერ გამოყენებად და მას არ ექნება არანაირი პრეტენზია ,,დაცვის'' მიმართ;

6.19 „დამკვეთი'' უფლებამოსილია დროებით არ ისარგებლოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებით (შემდგომში ,,ხელშეკრულების პასიურ მოქმედებად'' წოდებული), რაც გულისხმობს, ,,დამკვეთის'' წერილობითი მომართვის საფუძველზე, ,,ობიექტის'' დროებით ცენტრალიზებული დაცვის პულტიდან გათიშვას;

6.20 წინამდებარე ხელშეკრულების 6.19 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ,,დამკვეთი" ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე, წერილობითი ფორმით აღნიშნულის შესახებ აცნობოს ,,დაცვას";

6.21 ,,დაცვა'' ვალდებულია, წინამდებარე ხელშეკრულების 6.20 პუნქტით გათვალისწინებული წერილობითი მომართვიდან გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუმეტეს 5 დღის ვადაში, დროებით შეწყვიტოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება;

6.22 ,,ხელშეკრულების პასიური მოქმედების'' შეწყვეტის შემთხვევაში, ,,დამკვეთი" ვალდებულია არანაკლებ 2 დღით ადრე, წერილობითი ფორმით აღნიშნულის შესახებ აცნობოს ,,დაცვას";

6.23 ,,დაცვა" ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების 6.22 პუნქტით გათვალისწინებული წერილობითი მომართვიდან გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუმეტეს 2 დღის ვადაში, აამოქმედოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება;

6.24 „ხელშეკრულების პასიური მოქმედების'' პერიოდში, „დაცვის'' მომსახურების ღირებულება ერთ თვეში შეადგენს 10 (ათი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით;

6.25 „ხელშეკრულების პასიური მოქმედების'' მომსახურებაზე, ანგარიშსწორება მხარეთა შორის განხორციელდება საგადასახადო დოკუმენტაციის გამოწერიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში;

6.26 ხელშეკრულების პასიური მოქმედების პერიოდში ,,დამკვეთი" პასუხისმგებელია ,,ობიექტზე'' დამონტაჟებულ აპარატურაზე;

6.27 სადავო საკითხებს მხარეები წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სასამართლოს მეშვეობით;

6.28 წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს;

6.29 დამკვეთის თანხმობის შემთხვევაში, ,,დაცვა'' უზრუნველყოფს დასაცავი ობიექტიდან ცდპ-ზე შემოსული ინფორმაციის (გახსნის, დაკეტვის და განგაშის) მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) სახით ,,დამკვეთისათვის'' მიწოდებას, ამ უკანასკნელის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე: 599-882-240.

6.30 აღნიშნული მომსახურება ერთ ობიექტზე ერთ სატელეფონო ნომერზე უფასოა, ხოლო მომდევნო ტელეფონის ნომერზე თვეში შეადგენს 1 (ერთი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

6.31 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან, ერთი ინახება ,,დამკვეთთან, ხოლო ერთი ,,დაცვასთან".

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსრულებელი შსს სსიპ– დაცვის პოლიციის დეპარტამენტი ს/კ 211350928 ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-11 კმ მიმღების ბანკი-სახელმწიფო ხაზინა: მიმღების დასახელება-ხაზინის ერთიანი ანგარიში; კოდი: TRESGE22, მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი 707117293 დაცვის ორგანიზაციის მთავარი სამმართველოს უფროსი : მამუკა ლიპარტელიანი **ხელმოწერა:** ----------	**მყიდველი** შპს ,,სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა'' საიდენტიფიკაციო კოდი: 404 482 537 მისამართი: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. #12 ბანკის დასახელება: სს „თი ბი სი ბანკი" ბანკის კოდი: TBCBGE22 ანგარიშისნომერი: GE 58 TB73 5343 6080 1000 04 საკონტაქტო ტელეფონი: 2 200 122 Email:procurement@scs.gov.ge *დირექტორი:* ალექსი ზანდარაშვილი **ხელმოწერა:** ----------

სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080144663680016

 # 3842

27 / დეკემბერი / 2016 წ.

შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფისთვის“ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2016 წლის 23 დეკემბერს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფის“ SMP160003599 მომართვა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი და მისი ღირებულება

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს ცეცხლსასროლი იარაღით დაცვის მომსახურების შესყიდვას, ღირებულებით - 4500 ლარი (CPV79700000 - გამოძიებასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მომსახურებები).

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, ქ. თბილისსა და ქ. ქუთაისში მდებარე შპს „სახელმწიფო კვებითი უზურნველყოფის“-ს ცენტრალურ საწყობებში ინახება დიდი რაოდენობით საკვები პროდუქტები, საკანცელარიო ნივთები, ძვირადღირებული ტექნიკური საქონელი და სახვადასხვა სახის ინვენტარი, რომელიც განკუთვნილია საქართველოს შეიარაღებული ძალებისთვის კვებითი მომსახურების ჯეროვნად და დროულად გასაწევად. აღნიშნული საწყობების დაცვა უნდა განხორციელდეს ცეცხლსასროლი იარაღით.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, აღნიშნული ობიექტები საჭიროებენ განსაკუთრებულ დაცვას, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ქონებისა და მატერიალური ფასეულობების დანაშაულებრივი (ქურდობა, ყაჩაღობა, განზრახ განადგურება) და სხვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის რისკები, შესაბამისად დაცვა უნდა განხორციელდეს ცეცხლსასროლი იარაღითა და სხვა სპეციალური საშუალებებით აღჭურვილი პირების მიერ.

შემსყიდველი ორგანიზაციისვე განმარტებით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ობიექტის დაცვის უფლებამოსილება გააჩნია, მხოლოდ სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტს“.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესაძლებლობა, რამდენადაც, წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 23 მარტის №266 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულებისა" და „იარაღის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტი" უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, დასაცავ ობიექტებზე დანაშაულისა სხვა სამართალდარღვევათა აღკვეთა-აცილებას. ამ მიზნით, დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელს უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით ატაროს და გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი და სხვა სპეციალური საშუალებები, აგრეთვე შეაჩეროს, ხოლო დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში შეიპყროს სამართალდამრღვევი და გადასცეს ის უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს.

სააგენტო დამატებით აღნიშნავს, რომ მომსახურების გაწევაზე ექსკლუზიური უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციის შერჩევის პროცედურების წარმართვა წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის პასუხისმგელობას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფის" SMP160003599 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ლევან რაზმაძე

21.12.16
2914/12-2016

შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფის“

დირექტორს ბ-ნ ალექსი ზანდარაშვილს

ამავე კომპანიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის

უფროსის ნიკოლოზ სარქისიანის

21.12.2016

მოხსენებითი ბართი

გაცნობებთ, რომ 2016 წლის 31 დეკემბერს დასავლეთ და აღმოსავლეთ საწყობებში დაცვის ხელშეკრულებებს ეწურება ვადა.

როგორც მოგეხსენებათ შპს „ სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“-ს ცენტრალურ საწყობებში (ქ.თბილისი, ქ. ქუთაისი) ინახება დიდი რაოდენობის საკვები პროდუქტები, საკანცელარიო ნივთები, ძვირადღირებული ტექნიკური საქონელი, სხვადასხვა ინვენტარი, რომელიც განკუთვნილია საქართველოს შეიარაღებული ძალების კვებითი მომსახურების ჯეროვნად და დროულად გასაწევად. შესაბამისად მიზანშეწონილად მიმაჩნია აღნიშნული ობიექტების/საწყობების დაცვა განახორციელონ ცეცხლსასროლი იარაღის ტარების და გამოყენების უფლების მქონე პირებმა, ასევე რაიმე სახის საქონლის დატაცების შემთხვევაში კანონდამრღვევის დაკავების უფლების მქონე პირებმა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, გამოსცეთ შესაბამისი ბრძანება, შესყიდულ იქნას უსაფრთხოების მომსახურება სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტისგან“ 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, იქიდან გამომდინარე, რომ ანალოგიური მომსახურების გამწევი შესაძლო მომწოდებლებისგან განსხვავებით , დღეის მდგომარეობით მხოლოდ სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტს“ საზოგადოებირივი უსაფრთხოების მიზნით , კანონმდებლობით დადგენილი წესით ააქვს მინიჭებული ექსკლუზიური უფლება ატაროს და გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი, ასევე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში შეიპყროს სამართალდამრღვევი და გადასცეს უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს.

პატივისცემით,

ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი ნიკოლოზ სარქისიანი

21.12.2016